



Tbilisi Open Teaching University

დამტკიცებულია

აკადემიური და წარმომადგენლობითი
სენატის 2018 წლის 22 იანვრის
№77 დადგენილებით

სამართლის სკოლის იურიდიული კლინიკის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებები

1.1. იურიდიული კლინიკა იქმნება თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სამართლის სკოლის (შემდგომში „სკოლა“) წარდგინების საფუძველზე აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის მიერ როგორც სკოლის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული სტუდენტებისათვის უნარებზე დაფუძნებული სწავლების უზრუნველსაყოფად და იურიდიულ პროფესიაში შესვლისათვის მოსამზადებლად.

1.2. კლინიკის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

- სკოლის სტუდენტებისათვის სამართლის საკითხების თეორიული ცოდნის გამყარება და განვითარება, ინტეგრირებული (აკადემიური და პრაქტიკაზე ორიენტირებული) განათლების მიცემა;
- სტუდენტებისათვის პრაქტიკული გამოცდილების შექმნისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობის მიცემა და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის უფასო სამართლებრივი მომსახურების გაწევა;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეების სამართლებრივი მომზადების დონის ამაღლება;
- სიტუაციური იმიტაციების (მაგ.: სასამართლო პროცესების, საკანონმდებლო პროცედურების, საკონსტიტუციო სამართალწარმოების) ორგანიზება და ჩატარება;
- თანამშრომლობის განვითარება სხვა უნივერსიტეტებში არსებულ მსგავს კლინიკებთან.

1.3. კლინიკა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, უნივერსიტეტის დებულების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა

წესების საფუძველზე, კანონიერების, ჰუმანიზმის, კეთილსინდისიერების და სხვა ზოგადსამართლებრივი პრინციპების დაცვით.

2. კლინიკის საქმიანობის სფერო

2.1. წინამდებარე დებულებით განისაზღვრება კლინიკის როგორც არაკომერციული წარმონაქმნის სტატუსი, რომელიც თავისი საქმიანობით მიზნად არ ისახავს რაიმე მოგების მიღებას.

2.2. კლინიკა ახორციელებს პრაქტიკულ ღონისძიებებს სკოლის სტუდენტების სამართლებრივ-საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართვისთვის და შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის სწავლების ინტერაქტიური მეთოდების დანერგვის და პრაქტიკული პროგრამების განხორციელების გზით.

2.3. კლინიკა სკოლის სტუდენტების მონაწილეობით აწყობს იმიტირებულ პროცესებს სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და კონსტიტუციურ სამართალში.

3. კლინიკის სტრუქტურა

3.1. კლინიკის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი, რომელსაც სამართლის სფეროში აქვს პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება.

3.2. კლინიკის დირექტორს სკოლის დეკანის წარდგინებით და მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტთან შეთანხმებით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

3.3. კლინიკის დირექტორი აკომპლექტებს კლინიკას უნივერსიტეტის რექტორთან და სკოლის დეკანთან შეთანხმებით.

3.4. კლინიკა შედგება სამი სექციისგან:

ა) იურიდიული დახმარების სექცია;

ბ) სამართლებრივი განათლების სექცია;

გ) სიტუაციური იმიტაციების სექცია.

3.5. კლინიკის თითოეულ სექციას ჰყავს ხელმძღვანელი - სკოლის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც წარმართავს მის ყოველდღიურ მუშაობას შესაბამისი მიმართულებით და მენტორები - პრაქტიკოსი იურისტები, რომლებიც უშუალოდ ეხმარებიან სტუდენტებს კონკრეტული სექციის ფარგლებში საქმიანობისათვის საჭირო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვაში სექციის ხელმძღვანელებთან ერთად.

3.6. კლინიკის ორგანიზაციული და ტექნიკური საკითხების უზრუნველყოფას ახორციელებს კლინიკის მენეჯერ(ებ)ი, რომელიც შესაძლებელია იყოს სამართლის მიმართულების საბაკალავრო პროგრამის მე-7/მე-8 სემესტრის სტუდენტი.

3.7. კლინიკის მენეჯერი:

- ა) იღებს და რეგისტრაციაში ატარებს კლინიკის წევრობის მსურველ სტუდენტთა განცხადებებს;
- ბ) განახორციელებს საქმეთა რეგისტრაციას და ორგანიზებას უწევს წარმოებას;
- გ) კოორდინაციას უწევს სტუდენტთა მუშაობას;
- დ) ასრულებს კლინიკის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა საქმიანობას.

4. კლინიკის წევრობა

4.1. კლინიკის წევრობის უფლება აქვთ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს, რომლებიც წერილობით გამოთქვამენ სურვილს კლინიკის წევრობაზე და შესაბამისი სამართლებრივი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფლობას დაადასტურებენ კლინიკის დირექტორისა და სექციების ხელმძღვანელებისგან შემდგარი კომისიის წინაშე.

4.2. სიტუაციური იმიტაციების სექციაში შესაძლებელია გაწევრიანდეს ბაკალავრიატის საფეხურის მე-3-მე-6 სემესტრის სტუდენტი, იურიდიული დახმარების და სამართლებრივი განათლების სექციებში - ბაკალავრიატის საფეხურის მე-7/მე-8 სემესტრის, ასევე მაგისტრატურის საფეხურის მე-3/მე-4 სემესტრის სტუდენტი.

4.3. კლინიკის წევრობა ვადიანია:

- ა) იურიდიული დახმარების სექციებში ჩართული სტუდენტებისათვის მოიცავს 6 თვეს
- ბ) სამართლებრივი განათლების სექციებში ჩართული სტუდენტებისათვის მოიცავს თვიდან 12-თვემდე (სტუდენტის სურვილის შესაბამისად).
- გ) სიტუაციური იმიტაციების სექციაში ჩართული სტუდენტებისათვის - 6 თვიდან 24 თვემდე (სტუდენტის სურვილის შესაბამისად).

4.4. კლინიკის წევრობა და საქმიანობა უსასყიდლოა.

5. კლინიკის პრაქტიკული პროგრამები

5.1 კლინიკა თავის საქმიანობას წარმართავს პრაქტიკული პროგრამების განხორციელებით, რომელსაც ადგენს კლინიკის დირექტორი სექციების ხელმძღვანელებთან და მენტორებთან ერთად.

5.2. კლინიკის პრაქტიკული პროგრამის ძირითადი საკითხებია:

- სამართლებრივი ეთიკა;
- ადვოკატის უნარ-ჩვევები;
- კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;
- კლიენტებთან კონსულტაცია – ინტერვიუება;
- საქმის მასალების გაცნობა – შესწავლა;

- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადების ტექნიკა;
- საკანონმდებლო ტექნიკა;
- ადამიანის უფლებები და სხვ.

6. სექციები

6.1. თითოეული სექციის მუშაობა მოიცავს:

- ა) თეორიულ სწავლებას (შესაბამისი პრაქტიკული პროგრამების ფარგლებში);
- ბ) თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებული პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას.

6.2. იურიდიული დახმარების სექციაში საქმიანობა გულისხმობს კლიენტისათვის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სტუდენტის მიერ მენტორის დახმარებით და პასუხისმგებლობით სამართლებრივი მომსახურების გაწევას:

- ა) მოქალაქეების კონსულტირებას სამართლებრივ საკითხებზე;
- ბ) განცხადებების, საჩივრების და სხვა პროცესუალური (სამართლებრივი) დოკუმენტების შედგენას;
- გ) წარმომადგენლობით მოქალაქეთა ინტერესების სასამართლოში და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში დაცვას;
- დ) წარმოებაში არსებული საქმეების შესწავლას და მტკიცებულებების მოპოვებას.

6.3. ყოველ კლიენტზე იხსნება საქმე, რომელშიც შედის:

- ა) მოქალაქის საანკეტო მონაცემები;
- ბ) პრობლემის არსი, მიღებული ზომები და შედეგები;
- გ) ინფორმაცია გაწეული და გასაწევი მომსახურების შესახებ;
- დ) მტკიცებულებები და პროცესუალური დოკუმენტების ასლები.

6.4. სამართლებრივი განათლების სექციაში საქმიანობა გულისხმობს დაინტერესებული სკოლების მოსწავლეებისათვის ტრენინგების ჩარატებას ისეთ საკითხებზე, როგორცაა, მაგალითად, ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, კონსტიტუციური სამართალწარმოება, ლტოლვილთა და დევნილთა საერთაშორისო დაცვის მექანიზმები, ტრეფიკინგი და ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეაბილიტაციის მექანიზმები, არასრულწლოვანთა დანაშაულობა, სამართალი და სამართლებრივი სისტემები და სხვ.

6.4. სიტუაციური იმიტაციების სექციაში საქმიანობა გულისხმობს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, და სისხლის სამართლის საქმეებზე იმიტირებული სასამართლო პროცესებში, ასევე პარლამენტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს იმიტირებულ სხდომებში მონაწილეობას.

6.5. კონკრეტული რეალური საქმის/ტრენინგის/იმიტირებული პროცესის დასრულების შემდგომ სტუდენტები ანალიზს უწევენ ჩატარებულ სამუშაოს და აწყობენ მიღწეული შედეგების განხილვას.

6.6. სექციების ურთიერთთანამშრომლობით შესაძლებელია სამართლებრივ პრობლემებზე დისკუსიების მოწყობა; საკანონმდებლო აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის განხილვა და გაანალიზება; მოწვეული პრაქტიკოსი იურისტების ლექციების ორგანიზება; სასამართლო პროცესებზე დასწრება და სასამართლოს გადაწყვეტილებების განხილვა.

7. სტუდენტთა შეფასება

7.1. კლინიკაში ბაკალავრიატის საფეხურის მე-7/მე-8 და მაგისტრატურის საფეხურის მე-3/მე-4 სემესტრის სტუდენტთა საქმიანობა ფასდება 100-ქულიანი სისტემით, სადაც დადებით შეფასებას წარმოადგენს 51-100 ქულა, ხოლო უარყოფით შეფასებას - 0-40 ქულა.

7.2. შეფასებას 60 ქულის ფარგლებში ახორციელებენ შესაბამისი სექციის მენტორები, რა დროსაც შეფასებას ექვემდებარება სტუდენტის ყოველდღიური მუშაობა 6/12 თვის განმავლობაში, ხოლო შეფასებას 40 ქულის ფარგლებში ახორციელებს კლინიკის დირექტორის, შესაბამისი სექციის ხელმძღვანელის და მენტორებისაგან შემდგარი კომისია სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშის საჯარო დაცვის შედეგად.

7.3. კლინიკის დადებითი შეფასებით დასრულების შემთხვევაში, სტუდენტებზე გაიცემა სათანადო სერთიფიკატი იურიდიული კლინიკის გავლის შესახებ.

7.4. ბაკალავრიატის საფეხურის მე-3-მე-6 სემესტრის სტუდენტთა საქმიანობა შეფასებას არ ექვემდებარება და მათზე სერთიფიკატი გაიცემა შესაბამისი ვადის ამოწურვის შემდეგ.